

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გ.მდინარაძის
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი

2019წელი,11 თებერვალი

დაბა ურეკი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.ლუეჯუმელიძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ესწრებოდნენ:საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ტ.აროშიძე.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე გ.ლუეჯუმელიძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ გ.მდინარაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგურალურად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, გ.მდინარაძემ, საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, დაბა ურეკში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე, აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა დაბის შიდა გზებისა და სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების გაწმენდა, რომელსაც წლებია მოითხოვენ ამომრჩევლები.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ გ.მდინარაძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. საკრებულოს უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მისი აზრი გაიზიარეს ამომრჩევლებმა და კოლეგებმა.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. (დანართი-ანგარიში-თან ერთვის 2 -ფურცლად)

გიორგი ღურჯუმელიძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო